

დამტკიცებულია: 20.04.2018წ.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებგვერდის ადმინისტრირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებგვერდის ადმინისტრირების წესი (შემდგომში, „წესი“) ადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას, პროცედურებს და სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდის „zssu“ ადმინისტრირების რეგულაციებს.
2. სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიები მოიცავს შესაბამის ინფრასტრუქტურას და პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი.

მუხლი 2. ვებგვერდის ადმინისტრირება

1. სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდის ადმინისტრირება ხორციელდება ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრული პირის მიერ.
2. ვებგვერდის ადმინისტრირება მოიცავს მის ველებში განთავსებული მასალების მომზადებას, განახლებასა და სისტემურ ზედამხედველობას.
3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრისთვის მასალის მიწოდებასა და სიზუსტეს უზრუნველყოფს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.
4. მასალის დამუშავებაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
5. მასალის საბოლოო ვერსიის განთავსებაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი.
6. მასალა/ინფორმაცია საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრს მიეწოდება მატერიალური სახით ან/და იგზავნება ელექტრონული სახით მეილზე .
7. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში 17 საათამდე შემოსული მასალა აიტვირთება იმავე დღეს, 17 საათის შემდეგ შემოსული მომდევნო - სამუშაო დღეს.

მუხლი 3. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და ხელმისაწვდომობა

1. სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა მოიცავს:
 - ა) ტექნიკურ აღჭურვილობას, რომელშიც შედის ნორმატიული აქტების ბაზა (საკანონმდებლო მაცნე), ელექტრონული ბიბლიოთეკა, სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ქსელი, სტრუქტურულ ერთეულებში მოქმედი კომპიუტერული პროგრამები, კომპიუტერები/ლექტორები, ინტერაქტიული დაფები, პროექტორი, ქსეროასლის აპარატი და სხვა.
 - ბ) ინტერნეტს, რომელზეც წვდომა აქვს სასწავლო უნივერსიტეტში განთავსებულ ყველა კომპიუტერს.
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტისთვის.

მუხლი 4. სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილი ელექტრონული სერვისები

1. სასწავლო უნივერსიტეტში გამოიყენება შემდეგი ელექტრონული სერვისები და სისტემები:
 - ა) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.
 - ბ) ნორმატიული აქტების ბაზა (საკანონმდებლო მაცნე).
 - გ) შიდასაუნივერსიტეტო ელექტრონული ბიბლიოთეკა.
 - დ) სასწავლო უნივერსიტეტის შიდაქსელი.
 - ე) საბუღალტრო პროგრამა ORIS.
 - ვ) საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზები.
2. სასწავლო უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემების განვითარება ხორციელდება საუნივერსიტეტო საქმიანობიდან გამომდინარე.

მუხლი 5. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები

1. სასწავლო უნივერსიტეტში ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვას უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი შესაბამისი სამსახურების მეშვეობით. აღნიშნული პროცედურა მოიცავს:

1. სერვერების მართვას:

- ა) ტექნიკური უზრუნველყოფა (აწყობა, შემდგომი ექსპლოატაცია);
 - ბ) პროგრამული უზრუნველყოფა (ინსტალაცია, შემდგომი ექსპლოატაცია).
2. კომპიუტერული ტექნიკის მართვას:



- ა) ტექნიკური უზრუნველყოფა (აწყობა, შემდგომი ექსპლოატაცია);
- ბ) პროგრამული უზრუნველყოფა (ინსტალაცია, შემდგომი ექსპლოატაცია).

3. ინტერნეტის მართვა:

- ა) ინტერნეტის მიწოდების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა;
- ბ) ინტერნეტის საჭიროების მიხედვით შეზღუდვა.

4. პროგრამული უზრუნველყოფის მართვა: მოძიება, ინსტალაცია და ექსპლოატაცია.

5. ვებ-გვერდის ადმინისტრირება, დიზაინის შემუშავება, ინფორმაციის მიღება-განთავსება და პროგრამული უზრუნველყოფა.

6. სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის სისტემის ტექნიკური უზრუნველყოფა.

7. ტექნიკური დაზიანების შემთხვევის მართვა.

8. პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანების შემთხვევის მართვა.

მუხლი 6. ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა

1. სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა აუდიო ჩანაწერის გარეშე.

2. ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის გამართულ მუშაობაზე კონტროლს ახორციელებს აუდიტის სამსახური, ხოლო ამ სისტემით განხორციელებულ ვიდეო-მასალაზე დაშვების უფლება აქვს:

- ა) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
- ბ) უსაფრთხოების სამსახურს.
- გ) საჭიროების შემთხვევაში სხვა პირებს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული უფლება - მოსილება უნდა განხორციელდეს „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 7. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა

1. სასწავლო უნივერსიტეტში ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის მიზნით გასატერბელი პრევენციული ღონისძიებებია:

- ა) უწყვეტი ენერგომომარაგების უზრუნველყოფა;
- ბ) მაღალი ძაბვისგან დამცავი სისტემის დანერგვა;
- გ) კონდიციონერების გამართული სისტემის უზრუნველყოფა;
- დ) სერვერის განყოფილებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის დანერგვა.



ე) საჭირო სტრუქტურულ ერთეულებში არსებული ინფორმაციის რეზერვაცია სერვერზე და ინტერნეტ სივრცეში.

ვ) ინფორმაციული სწავლების შესახებ ტრენინგების ჩატარება.

2. საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს:

ა) ხანძარუსაფრთხოების ინსტრუქციის ამუშავება;

ბ) საევაკუაციო გეგმის ამუშავება;

გ) ბიზნესუწყვეტობის გეგმის შესაბამისად მოქმედება;

დ) სამუშაო პროცესის აღდგენა.

მუხლი 8. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად .

